ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2534271

ნომერი: AR1392606

თარიღი : 06.04.2016

გაცემის თარიღი : 11.04.2016

გაცნობის თარიღი : 11.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N99 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. წისქვილი კოდი: 202200778

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1392606 06.04.2016წ. განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ #პრ/594 01.08.06წ. ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების განხორციელებას საკადასტრო მონაცემების ცვლილების გამო გაცნობებთ, რომ #პრ/594 01.08.06წ. ქალაქმშენებლობითი პირობები გაცემულია ქ. თბილისის 2001 წლის 1 აგვისტოს #8–13 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“–ს შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1)–ში, ქ. თბილისის მერია, განკარგულება #1716 21.10.2005 საფუძველზე; გაომდინარე აქედან გთხოვთ წარმოადგინოთ #1716 21.10.2005 განკარგულება, იმ შემთხვევაში თუ საჭირო იქნება მოცემულ განკარგულებაში ცვლილების განხორციელება ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება;
ამასთან გაცნობებთ, რომ #პრ/594 01.08.06წ. ქალაქმშენებლობით პირობებში აქტის მესაკუთრედ ფიქსირდება შპს „წისქვილი“, გამომდინარე აქედან ცვლილების განსახორციელებლად დამატებით წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (შპს–ს შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე უფლებამოსილმა პირის) ან ზემოაღნიშნული აქტის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა. ასევე შესაძლებელია დააფიქსიროთ აღნიშნული პიროვნების მონაცემები ამავე განაცხადის თანაგანცხადებლის ველში.
<u>ასევე გთხოვთ წარმოადგინოთ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „წისქვილი“–ს;</u>

თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არისშეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge